



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაჩეჩილაძე პოლიევქტ ლუკას ძე

გაჩეჩილაძე პოლიევქტ ლუკას ძე [26. VI (9. VII). 1914, სოფ. ობჩა, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპ-ი, - 2. IV. 1979, თბილისი], ენათმეცნიერი, ლექსიკოლოგი. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1953). გამოქვეყნებული აქვს წერილები ქართ. ენის დიალექტოლოგიის, ლექსიკოგრაფია-ლექსიკოლოგიის დარგში. ამასთანავე ნაყოფიერად იკვლევდა ქართ. ენის სტრუქტურის საკითხებს და ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგიას. გ-ის შრომათაგან აღსანიშნავია „მებადურთა მისაღმების ფორმულა ხანისწყლის ხეობაში“ (1946), „იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება“ (1965), „ქართლურის სალექსიკონო მასალა“ (1970), „ქართული ლექსიკოგრაფია-ლექსიკოლოგიის ისტორიისათვის“ (1959), „ეტიმოლოგიური შენიშვნები (ცივი, ცივცივი, ციცინათელა)“ (1974), „უვის ზმნის ეტიმოლოგიისათვის“ (1974), „კუედ ფუძის სტრუქტურისათვის“ (1979) და სხვ. იგი მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (ტ. 1-8, 1950-64) მომზადებაში (VII ტომის ერთ-ერთი რედაქტორია), რისთვისაც სხვა რედაქტორებთან ერთად მიენიჭა საქართვე. სახელმწ. პრემია (1971).

თხზ.: იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

ბ. ცხადაძე
